თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

„კეთილსინდისიერების პრინციპი დაზღვევის სამართალში“

ირინა კუცია

„ნაშრომი წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

თბილისი, 0156

ივლისი 2019

ს ა რ ჩ ე ვ ი

Contents

რეზიუმე

Resume.....4

შესავალი……...7

თავი I.კეთილსინდისიერების პრინციპის დანიშნულება

კერძო სამართალში….....10

თავი II.კეთილსინდისიერების პრინციპის განმარტების თავისებურებები დაზღვევის სამართალში……..17

თავი III.დამზღვევის კეთილსინდისიერება……..19

3.1.ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება…….19

3.2.ხელშეკრულების დადების ეტაპები……...21

3.3.სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში……..23

3.4.სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას……24

3.5დაზღვევის ობიექტზე ზრუნვის ვალდებულება……27

თავი IV. მზღვეველის კეთილსინდისიერება…….31

4.1. .წინასახელშეკრულებო ეტაპი……...35

4.2.სადაზღვევო პერიოდი……43

დასკვნა……..49

ბიბლიოგრაფია……52

რეზიუმე

დაზღვევა მეტად აქტუალური თემაა, სახელშეკრულებო მნიშვნელოვანი სამართლებრივი ურთიერთობაა. ყველა კერძოსამართლებრივი ურთიერთობა დაფუძნებულია, მხარეების თავისუფალ ნებაზე. მხარეები ხელშეკრულების დადებისას ითვალისწინებენ ერთმანეთის ინტერესებს.აუცილებელია მხარეებს შორის იყოს თანასწორობა. დაზღვევის ხელშეკრულება სასყიდლიან , სარგებლიან ურთიერთობას წარმოადგენს. დაზღვევის ხელშეკრულებით ორივე მხარე კონკრეტულ ვალდებულებებს და მოვალეობებს კისრულობს, ასევე იძენს უფლებებს. სწორედ მხარეებმა ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა განახორციელონ კანონმდებლობის დაცვით და კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით .

სამაგისტო ნაშრომში განხილულია კეთილსინდისიერების პრინციპი, მზღვეველსა და დამზღვევს შორის ურთიერთობის თავისებურებების მაგალითზე.მხარეების ვალდბულებაა, ამ პრინციპის დაცვით განახორციელონ უფლებები და მოვალეობები.თითოეული მხარის მიერ კეთილსინდისიერი პრინციპის დაცვა და ერთმანეთის ინტერესის გათვალისწინება, მათი სამართლებრივი ურთიერთობის ნდობაზე დამყარება, ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება იმ კრიტერიუმებზე, რა შეიძლება ჩაითვალოს კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად.

ნაშრომში განხილულია, მზღვეველისა და დამზღვევის არაკეთილსინდისიერი ქმედების,სამართლებრივი საკითხი განხილულია იმის თაობაზე თუ , რომელი მხარე წარმოადგენს შედარებით უფრო სუსტ მხარეს, მხარეების მხრიდან რომელ ეტაპზეა უფრო მეტი ალბათობა იმისა, რომ ადგილი ჰქონდეს არაკეთილსინდისიერი ქმედებას.

ნაშრომში მოყვანილია სასამართლო გადაწყვეტილებები, სადაც გამოკვეთილია კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხარეებს ყველა სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის დროს მოუწოდებს კეთილსინდიერების პრინციპის დაცვისკენ.

თუმცა, უფრო მეტად უნდა იქნეს წამოჭრილი წინა პლანზე დაზღვევის ხელშეკრულებაში კეთილსინდისიერების პრინციის დაცვა და მოხდეს უფრო დაკონკრეტება და უფრო ჩარჩოში მოქცევა იმისა, რომელი ქმედება შეიძლება იყოს კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდიისერი.

ნაშრომის მიზანს და ამოცანას წარმოადგენს, უფრო მეტად გამახვილდეს ყურადღება მოცემული პრინციპის დაცვაზე და მხარეებმა გაიაზრონ მოცემული პრინციპის მნიშვნელობა, რათა თავიდან აცილებულ იქნეს არაკეთილსინდისიერი ქმედებები და რომელიმე მხარე არ აღმოჩნდეს ფინანსურად არასახარბიელო მდგომარეობაში.

Resume

Insurance relationship is a legally relevant one. All contractual relationships of parties are based on the principle of free will. When entering into contract, parties consider counter interests of one another. Equality is one of the essential preconditions in contractual relationships between parties. Insurance is a paid service. According to insurance contract both parties undertake certain obligations and gain rights. All this has to be implemented within the legal framework.

In the presented paper the principle of good faith is discussed. Parties to the insurance contract are obliged to fulfil their rights and obligations according to this principle. The paper contains the review of criteria for qualifying the conduct of parties as a breach of good faith liabilities.

The paper emphasizes legal consequences of breach of good faith liabilities. The discussion gets into the depth of defining which of the parties is the weaker one and where more risks for violating good faith liabilities are.

The paper contains reference to court decisions in which the importance of good faith liabilities is reaffirmed. Liabilities implied under the good faith according to civil code of Georgia apply to all types of contractual relationships.

The purpose of the paper is to emphasize the idea of protecting the principle of good faith, to raise the awareness of its importance for parties and to prevent the breach of good faith liabilities to the detriment for any of the parties.

შესავალი

დაზღვევის ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებაა.

,,დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი სასყიდლიანი,რეალური ხელშეკრულებაა, ხელშეკრულების დადემაბამდე მხარეები უნდა შეთანხმდნენ, დაზღვევის ინტერესებსა და საგნის შესახებ". (სამოქალაქო კომენტარი წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, 107-გვ)[1] მოცემულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს სადაზღვევო შენატანი, პრემია, სადაზღვევო რისკი და თანხა.

დაზღვევა სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბაზრო ეკონომიკაში. ის უზრუნველყოფს ეკონომიკურ უსაფრთხოებას და იწვევს სტაბილურობას სამოქალაქო ბრუნვაში.

თემის აქტუალობა: დაზღვევის არსი და ცნება დაფუძნებულია კეთილსინდისიერების პრინციპზე ისევე, როგორც ყველა სამართლებრივი ურთიერთობა. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ მათზე დაკისრებული უფლებები და მოვალეობები. აღნიშნული ზნეობრივ მოვალეობადაც მიიჩნევა.

კეთილსინდისიერება ყოველი სამართლებრივი ურთიერთობის წინაპირობაა. მხარეები კეთილსინდისიერების საფუძველზე ახორციელებენ მათზე დაკისრებულ ყველა უფლებას და მოვალეობას.[2]კერძო სამართალი აღიარებს კეთილსინდისიერების პრინციპს, რომელიც თავისთავში მოიცავს კერძო სამართლის სუბიექტების მოქმედების თავისუფლების ფარგლებს. აღნიშნული გულისხმობს გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.

კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ხელშეკრულების დადების, ასევე მისი შესრულების მომენტში.სასამართლო ხშირ

შემთხვევებში ითვალისწინებს სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერებას და სწორედ ამ საფუძვლით იღებს ხშირ შემთხვევაში პრაქტიკისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას.

კვლევის მიზანი: არის კეთილსინდისიერების პრინციპის განხილვა, მისი მნიშვნელობის როლის განსაზღვრა სადაზღვევო სამართალში. მზღვეველის და დამზღვევის კეთილსინდისიერი ქმედებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე. ასევე მხარეების მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის უარყოფითი შედეგები.კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობაა, არამედ მოვალების შესრლების გარანტიაცაა.

წინამდებარე ნაშრომში ასევე საუბარია კეთილსინდისიერების პრინციპზე კერძო სამართალში, მისი როლსა და დანიშნულებაზე სახელშეკრულებო სამართალში.მხარეებს შორის დადებული ყოველი ხელშეკრულება მათ კეთილსინდისიერებაზეა დაფუძნებული. მხარეებს ევალებათ ხელშეკრულებით დაკისრებული უფლებები და მოვალეობები შეასრულონ კეთილსინდისიერად და პირნათლად.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საკითხი დამზღვევის კეთილსინდისიერებაზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. მზღვეველისადმი ინფორმაციის მიწოდება ამომწურავად უნდა მოხდეს, ყველა მნიშვნელოვანი გარემოება უნდა იქნეს შეტყობინებული მზღვეველისთვის. ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მეორე მხარის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. დამზღვვეის კეთილსინდისიერება ასევე მოიცავს ობიექტზე ზრუნვის ვალდებულებას.

კვლევის ობიექტი: სადაზღვევო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის განხილვისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მზღვეველის კეთილსინდისიერება. აღნიშნული გამოიხატება იმით, რომ წინასახელშეკრულებო

ეტაპზე სწორად მოხდეს მხარეებს შორის შეთანხმება და მზღვეველმა ყოველგვარი არაკეთილსინდისიერების გარეშე შეასრულოს თავისი ვალდებულებები სადაზღვევო შემთხვევის დადგომა და სადაზღვევო პერიოდში.

ნაშრომში განხილულია ყველა ის საკითხი კეთილსინდისიერების პრინციპის შესახებ, რაც ხელს უწყობს სამართლებრივი ურთიერთობების განხორციელებას პირნათლად.

კვლევის ამოცანა: კვლევის ამოცანას წარმოადგენს დამზღვევის და მზღვეველის კეთილსინდიისერება დაზღვევის ხელშეკრულებაში. კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის სამართლების შედეგები.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: განხილულ ნაშრომი შედგება ოთხი თავის, შვიდი პარაგრაფის, შესავალის და დასკვნისგან.

თავი I. კეთილსინდისიერების პრინციპის დანიშნულება კერძო სამართალში

კეთილსინდისიერების პრინციპის ისტორიული და თეორიული საფუძველი ღრმა არის. ,,კეთილსინდისიერების პრინციპი რომის სამართლიდან იღებს სათავეს. პრინციპი *bona fides* მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა *ius civile*-სა და რომაულ სამათლებრივ აზროვნებაში. *Bona fides* ტერმინის საქმიან ურთიერთობებში გამოყენება ნიშნავდა, იმას რომ მხარეები თავიანთ პირობას, მიცემულ სიტყვას დაიცავდნენ (*bona fides negotia*) წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს უფლება ჰქონდა, წარედგინა *ex fide bona* პრეტენზია და კონტრაჰენტისაგან ვალდებულების იძულებით აღსრულება სარჩელის საფუძველზე მოეთხოვა. გლოსატორთა და პოსტგლოსატორთა ეპოქაში, მე-11-12 საუკუნეებში კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა და იგი მოსამართლეების მიერ ხელშეკრულებათა განმარტების და კანონთა კორექტირების მიზნითაც გამოიყენებოდა (*iuris civlis corrigenda causa*)". (ვაშაკიძე გიორგის სტატია 16-გვ)[2]

კეთილსინდისიერების პრინციპმა, ხანგრძლივი ისტორიული გზა განვლო, რათა მიეღო ის სახე და დანიშნულება, რა დანიშნულებითაც გვაქვს ის წარმოდგენილი დღეს საქართველოს სამოქალაქო სამართალში.

,,შუა საუკუნეებში კეთილსინდისიერების პრინციპი ერთიან ევროპულ სამართალში (*ius commune*) წმინდა მატერიალურ-სამართლებრივ ნორმად გარდაიქმნა და სამართლიანობისა და თანასწორობის ცნებაში (*aequitas*) გაერთიანდა, რითაც უფრო კეთილსინდისიერება ნორმატიული კატეგორიაა. ის არ არის მხოლოდ ეთიკური და მორალური პრინციპი, რომელსაც მეტ-ნაკლებად სამართლებრივი სისტემა თავის თავში აღიარებს, არამედ კეთილსინდისიერების პრინციპი აძლევს მხარეებს საშუალებას კონკრეტულ შემთხვევაში წარმოეშვათ უფლებები და ვალდებულებები. ან თავად თქვან უარი თავისი უფლების დაცვაზე. ამ პრინციპის პრაქტკაში ფართო მნიშვნელობა მოიპოვა''. (ვაშაკიძე გიორგის სტატია 16-გვ)[3]

კეთილსინდისიერება ნორმატიული კატეგორიაა, ის არ არის მხოლოდ ეთიკური და მორალური პრინციპი, მხარეები ამ პრინციპის დაცვით თავისთავად ვალდებულნი არიან ერთმანეთის ინტერესი გაითვალისწინონ,ყოველი ურთიერთობისას მხარეები თუ გაითვალისწინებენ აღნიშნულ პრინციპს, ისინი არ აღმოჩნდებიან არასასურველ მდგომარეობაში და ორივე მხარის ინტერესის შესრულებით მათი სახელშეკრულებო ურთიერთობა იქნება შედეგიანი. ამ პრინციპის პრაქტკაში გამოყენებას აქვს როგორც სარისკო ფაქტორები, ასევე დადებითი მხარეც.

 აღნიშნული გამოიხატება იმაში, რომ მხარეებს შეუძლიათ ურთიერთნდობაზე დაამყარონ ურთიერთობა; ასევე შეუძლიათ ყველა წვრილმანი დეტალი არ გაითვალისწინონ ხელშეკრულებაში, რაც ურთიერთობებს უფრო არაფორმალური სახეს და ეკონომიურს ხდის. ნდობის საფუძველზე შეუძლიათ შეთანხმდენე ხელშეკრულების პირობებზე, სწორედ აქ იკვეთება კეთილსინდისიერების პრინციპი.

რაც შეეხება კეთილსინდისიერების პრინციპის სარისკო მხარეს აღნიშნულში იგულისხმება ის ფაქტი, რომ არ არის კონკრეტული განმარტება ამ ნორმის და ის წარმოდგენილია ზოგადი ფორმით. ამის გამო კეთილსინდისიერების პრინციპი პრაქტიკაში რთული გამოსაყენებელია და მოითხოვს დაკონკრეტებას. ამ პრინციპის არასწორმა გაგებამ და გაანალიზებამ შესაძლოა მხარეების ინტერესებზე უარყოფითი

გავლენა იქონიოს; მოსამართლის მხრიდან ასევე შესაძლებელია კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის სუბიექტურმა გაგებამ ხელყოს მხარეთა სამართლებრივი ინტერესი.

,,კეთილსინდისიერების პრინციპი არც მეტი არც ნაკლები, საშუალებაა მოუწესრიგებელი ცხოვრებისეული სფეროების ახალი ეთიკური და სოციალური სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგებისათვის და მისი ფუნქცია სამართლებრივი ურთიერთობების მორალიზებით გამოიხატება. ეს არის კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების პოზიტიური ასპექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალი იქნება კონფლიქტი სამართლიანობასა და სამართლებრივ ურთიერთობას შორის". (ვაშაკიძე გიორგის სტატია 22-გვ)[4]

კეთილსინდისიერების პრინციპს მრავალი ახსნა აქვს და იწვევს სუბიექტური აზრის დაფიქსირებას სასამართლო სისტემაში მოსამართლეების მხრიდან ის არ უნდა იქცეს ამიტომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებად და არ უნდა წარმოადგენდეს მორალის კითხვის ფორმას მხარეებისთვის. კეთილსინდისიერების პირნციპი მიახლოებული უნდა იყოს მართლზომიერებასთან და გაგებულ უნდა იქნეს, როგორც კანონთან შესაბამისი პრინციპი. სავალდებულო უნდა იყოს მხარეებისათვის ამ პირინციპის დაცვა, რაც უფრო გაამარტივებს სახელშეკრულებო ურთიერთობებს, პრინციპი მხარეებს ავალდებულებს სწორედ ერთმანეთის ინტერესები გაითვალისწინებას ისევე როგორს საკუთარი ინტერესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მოცემული პრინციპი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე ვრცელდება,აღნიშნული ასევე ვრცელდება სამოქალაქო სამართლის სუბიექტების მიერ დამყარებულ ყველა სამართლებრივ ურთიერთობებზე. სადაც მხარეები კისრულობენ უფლებებს და ვალდებულებებს. კეთილსინდისიერების პრინციპი მოქმედებს ასევე ვალდებულების შესრულების დროსაც, ,,ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად,

დათქმულ დროსა და ადგილას". (სამოქალაქო კოდექსიუს კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, 361-ე გვ)[5]

საქართველოს საქმოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი კერძო სამართლის ზოგადი პრინციპია, რომელშიც ზოგადად კეთილსინდისიერების პრინციპზეა საუბარი. აღნიშნული მოიცავს საოჯახო, სანივთო, სახელშეკრულებო და ვალდებულებითი ურთიერთობების კეთილსინდისიერად შესრულება.ხოლო სსკ-ის 361-ე მუხლში კონკრეტულად გამახვილებულია ყურადღება,ვალდებულების შესრულებაზე და მხარეებს მიუთითებს, შეასრულონ დაკისრებული ვალდებულება კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.

მოცემული პრინციპი სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით, მოითხოვს მხარეთა შორის ურთიერთნდობას. ყოველი ურთიერთობა ემყარება ვარაუდს, რომ სუბიექტები სამართლებრივი ურთიერთობის პერიოდში იმოქმედებენ კეთილსინდისიერად. მხარეები დარწმუნებულნი არიან ერთმანეთის კეთილსინდისიერებაში, სანამ საპირისპიროს დამტკიცება არ მოხდება რომელიმე მხარის მიერ, ურთიერთნდობა უნდა იყოს გონივრული.

ნდობის საფუძველზე წარმოშიბილი ურთიერთობა გამოიწვევს კეთილსინდისიერ ქმედებებს, კანონმდებლობა სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეებს ავალდებულებს ყოველი ქმედება განახორციელონ კეთილსინდისიერად.

,,კეთილსინდისიერების პრეზუმცია გულისხმობს როგორც უფლების არსებობის, ასევე მოვალეობის შესრულების ვარაუდს". (ვაშაკიძე გიორგის სტატია 48-გვ)[6] აქედან გამომდინარე, მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან, როგორც თავიანთი, ასევე მეორე მხარის უფლებები და მოვალეობები.

,,კეთილსინდისიერების პრინციპი, გარდა თეორიული სამართლებრივი მნიშვნელობისა, კერძო სამართალში უდიდეს პრაქტიკულ დანიშნულებას ჰპოვებს. გარკვეულ ასპექტში შესაძლებელია იგი ვალდებულების დაკისრების წინაპირობადაც

მოგვევლინოს”.(საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 21 მაისის N ას -221-223-2012 განჩინება).[7]

მხარეების მიერ უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადებამდე, გააცნობიერონ კეთილსინდისიერების პრინციპი, რათა შემდგომ მათთვის ამ კონკრეტული პრინციპის შესრულება არ წარმოადგენდეს დაბრკოლებას. მხარე თავიდანვე კეთილსინდისიერად უნდა იყოს განწყობილი ხელშეკრულების და მეორე მხარის მიმართ.

,,აღნიშნული განპირობებულია მისი ფუნქციით, მოახდინოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილური ფუნქციონირება და გამყარება”. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 24 მაისის N ას-23-18-2011 განჩინება)[8]. სუბიექტების კეთილსინდისიერ ქმედებაში იგულისხმება, ვალდებულებების შესრულება, პირნათლად და კანონის ფარგლებში. თუ მხარე დაკისრებულ ვალდებულებას არ შეასრულებს იმ ფორმით და საშუალებით, როგორც მხარეები იყვნენ შეთანხმებული იგულისხმება რომ მან დაარღვია კეთილსინდისიერების პრინციპი.

ზოგადად სამოქალაქო სამართლის ყველა ნორმაში იგულისხმება და ყოველი მხარე ვალდებულია ხელშეკრულებით მხარეთათვის დაკისრებული ვალდებულებები შეასრულონ.

სსკ-ის მე-8 მუხლის პრინციპის თანახმად სამართლებრივი ურთიერთობის მხარეებმა, მისი და მეორე პირის ვალდებულებას ინტერესი გაითვალისწინონ და მესამე პირთან არდაარღვიონ მათი უფლებები. სუბიექტის მიერ ისე უნდა განახორციელდეს თავისი უფლება-მოვალეობა, რომ არ მოხდეს მეორე მხარის ნების შეზღუდვა ან არ წარმოექმნას მას რაიმე დაბრკოლება მხარის არაკეთილსინდისიერებით.

სამოქალაქო კოდექსში კეთილსინდისიეების პრინციპთან დაკავშირებულია სხვადასხვა ტერმინები. მათ კავშირზე საუბარია იურიდიულ ლიტერატურაში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია სტატია, რომელშიც ყურადღებას ამახვილებს, ისეთ ტერმინებზე სამოქალაქო კოდექსის, რომლებიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული, კონკრეტულად სსკ-ში ჯეროვანი შესრულება და კეთილსინდისიერი შესრულება. ამ კონკრეტულ ტერმინებზე.

,,ვალდებულება სრულდება ჯეროვნად, თუ შემსრულებელი ასრულებს შეთანხმებულ პირობებს, ხოლო თუ პირობები შეთანხმებული არ არის, ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, ანუ ისე, როგორც იგი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში შესრულდებოდა. ჯეროვნობაც და კეთილსინდისიერებაც, როგორც ვხედავთ ვალდებულების განუყოფელი ელემენტია თუმცა პირველი კონკრეტულია და ადვილად განსასაზღვრი,მაშინ როცა კეთილსინდისიერება აბსტრაქტულია და შესაბამისად, მეტ არგუმენტაციას საჭიროებს". (ვაშაკიძე გიორგის სტატია 52-გვ)[9].

აქედან გამომდინარე, მათი ერთმანეთთან კავშირიც არის, მაგრამ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ვალდებულება შეიძლება შესრულდეს ჯეროვნად მაგრამ არაკეთილსინდისიერად. მაგალითად ქალბატონმა ქიმწმენდაში მიიტანა პალტო, რომელიც ორ დღეში მზად უნდა ყოფილიყო. მხარეები არ შეთანხმებულან მომსახურეობის საფასურზე, როცა ქიმწმენდამ ორ დღეში შეასრულა თავისი ვალდებულება და ანგარიშის გასწორების დრო მოვიდა, ქალბატონმა შეიტყო, რომ მას უნდა გადაეხადა თანხა-ათასი ლარი. ქალბატონს შეუძლია დაეყრდნოს სსკ-ის მე-8 და სსკ-ის 344-ე მუხლს და არ გადაუხადოს თანხმა, ჯეროვნად შემსრულებელ არაკეთილსინდისიერ ქიმწმენდის სპეციალისტს.

მოცემული მაგალითით მყარდება ის არგუმენტი, რომ კეთილსინიდისიერების პრინციპი უფრო ღრმაა. ამ ორი ცნების შეფასება მოსამართლის უფლებამოსილებაა. ეს გარემოება უზღუდავს მას კონკრეტული შემთხვევის შეფასების შესაძლებლობას,

მაგრამ ასევე მას აძლევს უფლებას არგუმენტირებული, დაყრდნობით მიიღოს კეთილსინდისიერებაზე და სამართლიანობაზე გადაწყვეტილება.

,,კეთილსინდისიერი ქცევის მოთხოვნა და მისი ობიექტურობაკიდევ უფრო იზრდება ისეთ ურთიერთობებში, რომლებმაც განსაკუთრებით გამოკვეთილია ნდობისა და კეთილსინდისიერების როლი. ასეთ შემთხვევებში პასუხსმგებლობის განსაკუთრებულობაზე მისათითებლად კანონმდებელი იყენებს ცნებას "გულისხმიერებით". (ვაშაკიძე გიორგის სტატია 52-გვ)[10]

კეთილსინდისიერების ცნება ყველა სამართლებრივ ურთიერთობაში არსებობს და სამოქალაქო კოდექსი მხარეებს ავალდებულებს განახორციელონ ხელშეკრულების პირობები კეთილსინდისიერად; ხოლო რაც შეეხება გულისხმიერებას, ის გამომდინარეობს უკვე არსებული ხელშეკრულების შემდეგ, ვალდებულების არსიდან წარმოიშვება გულისხმიერი ქმედება. კეთილსინდისიერების პრინციპი ზოგადი ნორმაა .

ასევე ყურადღება უნდა გავამახვილდეს კეთილსინდისიერების პრინციპის და უფლების ბოროტად გამოყენების, შესახებ. სამართლებრივი მოქმედება შეიძლება იყოს არაკეთილსინიდისიერი, მაგრამ ის შეიძლება არ მოიცავდეს უფლების ბოროტად გამოყენების პრინციპს. უფლების ბოროტად გამოყენება შესაძლოა უფრო ფართო გაგებით გავიგოთ, ხოლო არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში. სხვა გარემოება იკვეთება.

,,კეთილსინდისიერი ქცევა არაა სამართლებრივი ქცევის ტოლფასი. ყოველგვარი არამართლზომიერი მოქმედება არაა იმავდროულად არაკეთილსინიდისიერი მოქმედება და პირიქით ,არაკეთილსინდისიერი ქცევა ყოველთვის არა არის არამართლზომიერი ქცევა. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მოქმედებას გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ,ერთმანეთის უფლებისადმი

პატივისცემით მოპყრობას". (ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კომენტარის, წიგნი მესამე , გამომცემლობა სამართალი 2001 , 270-გვ)[11]

კეთილსინდიერებისპრინციპი ასევე მნიშვნელოვანია დაზღვევის სამართალში ნაშრომში საუბარია დაზღვევის ხელშეკრულების მხარეების კეთილსინდისიერების პრინციპზე და მის მნიშვნელობაზე. დაზღვევის ხელშეკრულებაში მხარეები ვალდებულნი არიან დაკისრებული უფლებები და მოვალეობები შეასრულონ კეთილსინდისიერად, რომელიმე მხარის არაკეთილსინდისიერებამ შესაძლოა გააუარესოს მეორე მხარი ფინანსური და სამართლებრივი მდგომარეობა.

თავი II. კეთილსინდისიერების პრინციპის განმარტების თავისებურებები დაზღვევის სამართალში

ხელშეკრულების მხარეები, ვალდებულნი არიან ერთმანეთს ინფორმაცია მიაწოდონ სრულად და ამომწურავად, ყოველი ინფორმაცია უნდა იქნეს შეტყობინებული, რამაც შესაძლოა ცვლილებები გამოიწვიოს მეორე მხარის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ასევე არის დაზღვევის ხელშეკრულებაში, სადაც დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს ინფორმაცია მიაწოდოს. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე დაზღვევის ხელშეკრულების მხარეები დამზღვევი და მზღვეველი ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ სადაზღვევო ხელშეკრულებაში ორივე მხარის ინტერესი და ხელშეკრულების უფლებები და მოვალეობები განახორციელონ ისე , როგოც ორივე მხარისათვის იქნება ხელსაყრელი.

,,კეთილსინდისიერების ძირითად ფუნქციად განისაზღვრება სამართლიანი შედეების დადგომა და, ამავე დროს, აშკარა უსამართლო შედეგების თავიდან აცილება. აღნიშნული, სასამართლოს განმარტებით, პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობის სტაბილურობას და სიმყარეს. ამასთანავე კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა მხარეთა შორის კონტრაჰირებისას

წარმატებული ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთ მახასიათებლად განიხილება”.(ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილის 2016, 60-გვ)[12]

კეთილსინიდისიერების პრინციპი ხელშეკრულების ორივე მხარეს ავალდებულებს ხელშეკრულება წარმოიშვას სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით, ვინაიდან ორივე მხარის ინტერესს წარმოადგენს, მიიღონ ერთმანეთისგან იმ ვალდებულებების შესრულება, რაც წარმოეშობათ ხელშეკრულებით. დამზღვევი ვალდებულია გასცეს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არის მის ხელთ, რის საფუძველზე წარმოიშვება ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა მზღვეველსა და დამზღვევს შორის. მზღვეველიც ვალდებულია ასევე კეთილსინდისიერად განახორციელოს თავისი ვალდებულება.

,,ერთ-ერთ სადაზღვევო დავაზე სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალბრუნვაში ქცევის სტანდარტის განმსაზღვრელია სამართლიანობა, კეთილსინდისიერება და ზნეობრიობა. მართალია კერძოსამართლებრივი ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებაზე სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ არ უთითებს, მაგრამ მაინც მას ეფუძნება. აღნიშნული გულისხმობს, რომ ხელშეკრულების ტექსტის ბოჭვით მიუხედავად, ხელშეკრულების პირობის განმარტება სამართლიანობის საფუძველზე უნდა მოხდეს. კეტილსინდიისიერების პრინციპის გამოყენებისას შესაძლებელი ხდება, როგოც კანონით, ისე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი შეფასებებისა თუ ფასეულობების მხედველობაში მიღება”. (ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილის 2016, 61-გვ)[13]

კეთილსინდისიერების პრინციპი ერთობ მნიშვნელოვანია დაზღვევის ხელშეკრულების მხარეთათვის მათ თანაბრად ევალებათ მოცემული პრინციპის დაცვა. კეთილსინდიისერების პრინციპის პრაქტიკაში გამოყენება ეფექტურია, რადგან იგი იცავს მხარეთა სამართლიან მოლოდინს და ნდობას ამართლებს მათ შორის ურთიერთნდობაზე დამყარებულ თანამშრომლობას აყალიბებს, ხელს უწყობს

ადამიანური და სოციალური ელემენტების წინა პლანზე წამოწევას და ცდილობს ყოველი სამართლებრივი ხელშეკრულება წარმოიშვას კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით.

თავი III. დამზღვევის კეთილსინდისიერება

3.1 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

სამოქალაქო სამართალში მკაფიოდ არის ხაზგასმული იმის თაობაზე, რომ ინფორმაციის მიწოდება სამართლებრივი ურთიერთობის ყველა ეტაპზე აუცილებელია. მხარეებმა უნდა შეატყობინონ ყველა ის ინფორმაცია, რამაც შეიძება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებების გახორციელება ხელშეკრულებაში, ასევეა სსკ-ის 808-ე მუხლი ავალდებულებს სადაზღვევო ხელშეკრულების დროს დამზღვევს შეატყობინოს ყველა ის ინფორმაცია რაც იმ ეტაპისტვის არის მნიშვნელოვანი და ასევე, რაც სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში იქნება მნიშვნელოვანი მზღვეველისთვის და ასევე სადაზღვევო შედეგის დადგომის დროს. სწორედ ინფორმაციის მიწოდებით წარმოიშვება მხარეებს შორის ნდობა. ინფორმაციის გაცემა მნიშვნელოვანი ეტაპია ხელშეკრულების დადების ეტაპზე, მხარეები ცვლიან მათ ხელთ არსებულ ინფორმაციებს და რის შემდეგაც იღებენ გადაწყვეტილებებს. ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

,,დაზღვევის ობიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის ფლობის თვალსაზრისით დამზღვევი უპრატესობის მდგომარეობაში იმყოფება, ამიტომაც, სადაზღვევო ურთიერთობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ დამზღვევის მხრიდან

უტყუარი და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას ენიჭება". (ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილის 2016, 62-გვ)[14]

დამზღვევი სრულ ინფორმაციას ფლობს სადაზღვევო ობიექტთან დაკავშირებით, სწორედ ეს გარემოება ავალდებულებს გასცეს მასთან დაკავშირებული ყველა არსებითად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც შესაძლოა და ვარაუდია, რომ მზღვეველისთვის იქნება სასარგებლო. არ უნდა დაარღვიოს დამზღვევმა კეთილსინდისიერების პრინციპი. ინფორმაციის მიწოდების შემდეგ მზღვეველი თავად გადაწყვეტს დაიდოს თუ არა ხელშეკრულება.

,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სწორედ ისეთ შემთხვევებში, როდესაც მისი მიუწოდებლობა ძირითად ვალდებულებას არ არღვევს, მაგრამ ამ ინფორმაციის არქონის გამო უფლებამოსილ პირს ადგება ზიანი. ამასთან მნიშვნელოვანია ის, რომ შესაბამისი ინფორმაციის გათვალისწინების შემთხვევაში ზიანი არ დადგებოდა, ხოლო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მხარეს გულისხმიერებისა თუ კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით უდავოდ ეკისრებოდა".(ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილის 2016, 62-63გვ)[15]

ინფორმაციის მიუწოდებლობით ფინანსური ზიანი ადგება მზღვეველს დამზღვევი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად დამზღვევის მხრიდან ინფორმაციის მიუწოდებლობით მიყენებული ფინანსური დანაკარგი, იმ შემთხვევაში თუ მზღვეველი დროულად იქნება სრულყოფილად ინფორმირებული შესაძლოა მან აირიდოს ეს დანაკარგი.გადაიხადოს სადაზღვევო შენატანი (პრემია). დამზღვევის მხრიდან ინფორმაციის მიუწოდებლობით მიყენებული ფინანსური დანაკარგი,

მზღვეველს თუ არ ეცნობა ყველა ინფორმაცია, რომელიც გაცემულ უნდა იქნეს დამზღვევის მიერ. მზღვეველს სსკ-ის 808-ე მუხლით აქვს უფლება ხელშეკრულებაზე განაცხადოს უარი.ასევე მას უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დამზღვევმა განზრახ აარიდა თავი ინფორმაციის გაცემას.

3.2. ხელშეკრულების დადების ეტაპზე

დაზღვევის სამართალში დამზღვევის მხრიდან ინფორმაციის მოიწოდების ვალდებულება ცალსახად არ განიმარტება, დამზღვევი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სრულად მზღვეველს, მაგრამ ის ვერ მიაწოდებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას არ აქვს იმ დროისთვის და რომელიც არ იცის მზღვეველისათვის, რამდენად მნიშვნელოვანია ესა თუ ინფორმაცია. სსკ-ის 808-ე მუხლში დამზღვევის კეთილსინდისიერების დაცვა ხდება სწორედ იმ კუთხით და მზღვეველს უზღუდავს ხელშეკრულებაზე უარის თქმას, როდესაც: ა)მზღვეველმა იცოდა დაფარული გარემოების შესახებ და ბ)როდესაც მას არ მიუძღვის ბრალი მათ შეუტყობინებლობაში.

,,მაგალითად, ერთ-ერთი სადაზღვევო დავის განხილვისას გაირკვა, რომ დამზღვევმა ხელშეკრულების დადების ეტაპზე სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელს განუმარტა ავტომობილის ფლობის მინდობილობის არქონის თაობაზე''. (ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილის 2016, 63გვ)[16] სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველმა უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე იმ არგუმენტით, რომ ავტომანქანა დაზღვეული იყო ავტომობილის დაზღვევის

პირობების დარღვევით. კერძოდ, დამზღვევი არ წარმოადგენდა ავტომობილის მესაკუთრეს. მოცემულ საქმეზე საკასაციო პალატა დაეყრდნო სსკ-ის მე-8 მუხლის მეოთხე ნაწილის დანაწესს და მიიჩნია, რომ სადაზღვევო კომპანიისთვის ხელშეკრულების დადების ეტაპზე ცნობილი იყო ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც შემდგომ მზღვეველის მხირდან უარი მოჰყვა ანაზღაურების საკითხს. რომ მოცემულ შემთხვევაში დამზღვევს ბრალი იკვეთებოდა აღნიშნული გარემოების შეუტყობინებლობაში. შესაბამისად, საქმე დაზღვევის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

დამზღვევის მხრიდან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი ქცევის შედეგად გამოწვეული დარღვევები. სწორედ ამ დარღვევების აღმოფხვრა ხდება ან ხელშეკრულების პირობების შეცვლით, ხოლო თუ უკვე სადაზღვევო ზიანი დამდგარია, ამ შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც ახორციელებს მზღვეველი ზიანის ანაზღაურებას.

,,ხელშეკრულების დადების ეტაპზე განმცხადებელმა მზღვეველს უნდა აცნობოს იმ გარემოებების თაობაზე, რომლის შესახებაც ის ფლობს ან უნდა ფლობდეს ინფორმაციას, ამასთან, ეს გარემოებები უნდა წარმოდგებოდეს მზღვეველის მიერ გარკვევით და ზუსტად ფორმულირებული კითხვების საგნად. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შედეგად მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისი შეცვლა ან ხელშეკრულების შეწყვეტა".(ირემაშვილი ქეთვეანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილის 2016, 65გვ)[17]

მზღვეველს შეუძლია დაზღვევის ხელშკერულების მოშლა, მაშინ როდესაც დამზღვევი მზღვეველის მიერ შედგენილ სპეციალურ კითხვარს შეავსებს, თუმცა თავს აარიდებს იმ კონკრეტულ შეკითხვას რომელიც შეიძება არ იყოს კითხვარში, მაგრამ დამზღვევმა განზრახ არ გაამახვილოს ყურადღება. დამზღვევის ინფორმაციის შეუტყობინებლობა მზღვეველის მხრიდან იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას,

მზღვეველს აქვს არასწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში ან ინფორმაციის განძრახ დამალვის შემთვევაში ხელშეკრულებაზე თქვას უარი.

,,დაზღვევის ხელშეკრულების დადების ეტაპზე დამზღვევის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დარღვევის გავლენა მზღვეველის მდგომარეობაზე. თუ მზღვეველი ასეთი დარღვევის შედეგად არ განიცდის ზიანს, მას მოთხოვნის უფლება წარმოეშვება დამზღვევის მიმართ. ასეთი განმარტება ემყარება სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს, რომლის თანახმადაც მზღვეველს არა აქვს მოთხოვნის უფლება, რადგან მას არ განუცდია ზიანი''. (ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილის 2016, 65გვ)[18] სადაზღვევო სამართალი არა მხოლოდ დამზღვევს ავალდებულებს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას ხელშეკრულების ეტაპზე, არამედ უფრო მეტიც , როდესაც მხარეები შეთანხმდებიან, ხელშეკრულების დადების შემდეგ პერიოდში დამზღვევი ვალდებულია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაშიც ინფორმაცია მიაწოდოს მზღვეველს დაუყოვნებლივ.

3.3. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში

,,დამზღვევი ვალდებულია სააზღვევო რისკი დამძიმების შემთხვევაში აცნობოს აღნიშნულის თაობაზე მზღვეველს, აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად დამზღვევს უნდა განესაზღვროს გონივრული ვადა. ასეთი ვალდებულების დარღვევის შედეგად მზღვეველი მხოლოდ იმ შემთხვევაში თავისუფლდება ანაზრაურების ვალდებულებისგან, თუ სადაზღვევო შემთხვევა სწორედ რისკის დამძიმებამ გამოიწვია".(ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილის 2016, 66გვ)[19]

დაზღვევის ხელშეკრულებაში დამზღვევი ვალდებულია, სსკ-ის 813-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მზღვეველს მიაწოდოს სადაზღვევო პერიოდის

განმავლობაშ ყველა აუცილებელი ინფორმაცია. მოცემულ მუხლში იგულისხმება ყველა ის ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს მზღვეველისთვის და გავლენა იქონიოს ხელშეკრულებაზე, რომელიც მზღვეველისთვის არის არსებითად მნიშვნელოვანი. დამზღვევი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს მზღვეველს, თუ სადაზღვევო ქონება ორმაგად არის დაზღვეული. თუ ქონებას აზღვევს დამზღვევი რამოდენიმე მზღვეველთან ის ვალდებულია ყველა მზღვეველს შეატყობინოს არსებითად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ყველა ის საკითხი რომელიც მნიშვნელოვანია თითოეული მზღვეველისთვის. სსკ-ის 827-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, განიხილება კონკრეტული ქმედება დამზღვევის მიერ, სადაზღვევო პერიოდში მზღვეველს უნდა ეცნობოს დაზღვეული ქონების გასხვისების შესსხებაც. დამზღვევი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს დაუყოვნებლივ. სსკ-ის 834-ე მუხლი აწესებს ქონების გასხვისების შესახებ მზღვეველისათვის შეტყობინების ვალდებულებას და განსაზღვრავს მისი დარღვევის სამართლებრივ შედეგებს. სწორედ ქონების გასხვისების საკითხი მნიშვნელოვანი ცვლილებების საფუძველი შესაძლოა გახდეს და მზღვეველის მხრიდან გამოიწვიოს ხელშეკრულების მოშლა.

3.4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

დაზღვევის სამართალში დამზღვევის ერთ-ერთი ვალდებულებაა, მზღვეველს შეატყობინოს სადაზღვევო შედეგის დადგომა. სადაზღვევო შედეგის დადგომა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ ან გონივრული დროის ვადაში, ხოლო თუ დამზღვევის მხრიდან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება სადაზღვევო შემთხვვის დადგომასთან დაკავშირებით არ იქნება დროულად მოწიდებული ამ შემთხვევაში, მზღვეველს აქვს საშუალება მოითხოვოს სადაზღვევო ანაზრაურების შემცირება, რადგან მას ინფორმაციის შეუტყობინებლობის ან დაგვიანების გამო მიადგა ზიანი. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე დამზღვევი და მზღვეველი ვალდებულია ითანამშრომლონ ერთმანეთთან ეს თანამშრომლობა უნდა

გაგრძელდეს ხელშეკრულების ყველა ეტაპზე. სწორედ თანამშრომლობის საფუძველზე წარმოიშობა მათი შეთანხმება ხელშეკრულების ყველა ეტაპზე.

სსკ-ის 814-ე მუხლი ავალდებულებს დამზღვევს, შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ, კანონი ამახვილებს ყურადღებას დამზღვევის მიერ ინფორმაცის მიწოდებაზე შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე, ასევე მოცემული მუხლი დამზღვევს მიუთითებს გულისხმიერებისკენ, მოუწოდებს მას სიფრთხილისკენ და მეტი ყურადღებით მოეკიდოს სადაზღვევო შემთხვევას და სადაზღვევო ნივთის მიმართ ეკისრება მეტი ზრუნვა და ვალდებულებები. მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის დაინტერესებულია სადაზღვევო ქონებისთვის მიყენებული ზიანის შემცირებით და ზუსტი ოდენობის დადგენით.

814-ე მეორე ნაწილის მიხედვით მზღვეველს აქვს უფლება, მოსთხოვოს დამზღვევს ყველა ცნობა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ სადაზღვევო შემთხვევის ან მოვალეობის მოცულობის დასადგენად.

სწორედ ზემოაღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს დამზღვევის მიერ სადაზღვევო შედეგის შეტყობინება დროულად და გონივრულ ვადაში მზღვეველის მიმართ. სწორედ აქ იკვეთება კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა დამზღვევის ეს ქმედება არის კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა, რადგან ინფორაციის შეტყობინებით მან მეორე მხარის (მზღვეველის) ინტერესები გაითვალისწინა და მათ შორის არსებული ურთიერთობის უფრო ნდობით იქნება დამყარებული. მზღვეველი მასზე დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს სადაზღვევო შემთხვევის დადგენის და საზღაურის ოდენობის შემდეგ. სსკ-ის 814-ე მუხლი ნათლად მიუთითებს ამის შესახებ. სადაზღვევო ხელშეკრულებით დამზღვევი და მზღვეველი თანამშრომლობით, გულისხმიერებით და ნდობაზე ამყარებენ ურთიერთობას. მახრეებმა კეთილსინდისიერების პრინციპი

უნდა განახორციელონ სწორედ ნდობაზე დამყარებით. დამზღვევი და მზღვეველი ვალდებულია ბოროტად არ გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები.

,,მზღვეველის გათავისუფლება სადაზღვევო საზღაურის გაცემისაგან შეიძლება დადგენილ იქნეს დაზღვევის ხელშეკრულებით. მაგრამ თუ დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის შეტყობინების ვალდებულების დარღვევით მზღვეველის ინტერესები არსებიტად არ დაირღვევა, მაშინ, ზემოაღნიშნული შეთანხმების მიუხედავად, მზღვეველი მაინც მოვალეა გასცეს სადაზღვევო საზღაური. ამის შესახებ სპეციალურად არის აღნიშნული სამოქალაქო კოდექსის 814-ე მუხლის მესამე ნაწილში". (სამოქალაქო კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, 134-გვ)[20]

,,ჯორჯაძემ ბაკურიანში თავისი აგარაკის სახურავის დაზიანება შეიტყო გაზაფხულზე, მაგრამ სადაზღვევო კომპანიას შეატყობინა სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შემოდგომაზე. შემოდგომისთვის მზღვეველს გაუჭირდა ჯორჯაძისათვის დიდთოვლობის შედეგად მიყენებული ზარალის ზუსტი დადგენა. ვინაიდან ზამთარში დაზიანებული სახურავი გაზაფხულის წვიმებმა უფრო დააზიანა და გააუჭა; ამიტომ მზღვეველმა უარი განუცხადა ჯორჯაძეს სადაზღვევო საზღაურის გაცემაზე იმ საფუძვლით, რომ დროულად არ შეატყობინა სადაზღვევო შემთხვევის შესახებ". (სამოქალაქო კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე, 134-გვ)[21]

დაზღვევის ხელშეკრულებაში სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტებია მნიშვნელოვანი, კეთილსინდისიერად წარმართვა უნდა განახორციელონ ხელშეკრულების როგორც დადების ეტაპის ასევე მისი შემდგომი პერიოდის, ხელშეკრულების მხარეებმა მათზე დაკისრებული უფლებები და მოვალეობები წარმართვა უნდა განახორციელონ კეთილსინდისიერად, გულისხმიერად და ჩამოაყალიბონ ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა,მხარეებმა ერთმანეთისათვის არსებითად მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა განსაზღვრონ და შეატყობინონ ერთმანეთს, რათა თავიდან იქნეს არიდებული არაკეთილსინდისიერი ქმედება და არ მოხდეს დავის დაწყება ან ხელშეკრულების მოშლა. ასევე დაზღვევის ხელშეკრულების პერიოდში შესაძლოა გამოვლინდეს

ახალი გარემოებები, რომელმაც შეიძლება გაზარდოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის საფრთხე, ვრცელდება დამზღვევზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ამ შემთხვევაშიც ვალდებულია მიაწოდოს მზღვეველს ახალი გარემოების წარმოშობის შესახებ , სსკ-ის 813-ე მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებს დამზღვევს შეატყობინოს ის ახალი გარემოება, რომელიც გავლენას იქონიებდა დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე, სადაზღვევო კომპანიის პოზიციაზე ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

3.5. დაზღვევის ობიექტზე ზრუნვის ვალდებულება

დაზღვევის ხელშეკრულებაში, დამზღვევი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, თუმცა არსებობს განსხვავებული შემთხვევა, როდესაც დამზღვევი არ მოქმედებს კეთილსინდისიერად, დამზღვევის არაკეთილსინდისიერების შემთხვევად უპირველესად ჩაითვლება, მაგალითად სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის განაცხადი, ხოლო ასეთად ჩაითვლება შემთხვევა დაზღვევის ობიექტზე თუ არ განახორციელებს ზრუნვის ვალდებულებას.

,,დაზღვევის კეთილსინდისიერება დაზღვევის ობიექტზე ზრუნვის ვალდებულებასაც მოიცავს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მორალური რისკის კონცეფციის გათვალისწინება. კერძოდ, როდესაც სადაზღვევო შემთხვევა დამზღვევის გავლენის სფეროშია, მორალური რისკი იზრდება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა დაზღვევის ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული მოსაზრება, რომელიც დამზღვევის კეთილსინდისიერებას აფასებს. აღნიშნული მოსაზრების თანახმად, დამზღვევის მხრიდან დაზღვევით

გათვალისწინებული მეტი და ძვირი მომსახურეობით სარგებლობა მიიჩნევა არა არაკეთილსინდისიერ, არამედ რაციონალურ ეკონომიკურ საქციელად". (ირემაშვილი ქეთევანი, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი 2016, 69-გვ)[22]

კეთილსინდისიერების პრინციპი პირდაპირ კავშირშია მხარეების ფინანსურ და ეკონომიკურ მდგომარეობასთან, დაზღვევის ხელშეკრულების მხარეები, არაკეთილსინდისიერი ქმედებით შესაძლოა არახელსაყრელ ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

კეთილსინდიიერების პრინციპის განმარტებისას და ამ კონკრეტულ შემთხვევაში დამზღვევის კეთილსინდისიერების ერთ-ერთი კრიტერიუმი, ობიექტზე ზრუნვის ვალდებულებაა. დამზღვევმა უნდა იზრუნოს დაზღვევის ობიექტზე ეს შეიძლება იყოს ქონება, ჯანმრთელობა, სიცოცხლე, ასევე დამზღვევი ვალდებულია იზრუნოს მესამე პირის ქონებაზე და მის უფლებებზე.

შესაბამისად, დამზვევი ობიექტზე ზრუნვით იცავს როგორც საკუთარ ინტერეს, ასევე მზღვეველის ფინანსურ ინტერესს, კანონი ავალდებულებს მხარეს, რომ გაუფრთხილდეს მეორე მხარის უფლებებსა და ქონებას.

სსკ-ის 316 მუხლის მეორე ნაწილი, სწორედ ვალდებულებითი-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს ავალდებულებს, არ დაუშვას მეორე მხარის უფლებების და ქონების არაკეთილსინდიისერი ხელყოფა. არამართლზომიერად არ მოიქცეს და პირის დაუდევრობით და გაუფრთხილებლობით არ მოხდეს ობიექტის დაზიანება.

სსკ-ის 830-ე მუხლი აწესებს დამზღვევის ვალდებულებას, სადაზრვევო შემთხვევის დადგომისას შეასრულოს მზღვეველის მითითებები. დამზღვევმა უნდა შეასრულოს ის მითითებები რაც დაკავშირებულია სადაზღვევო ქონებასთან, მითითებების შესრულების ანაზღაურება მოხდება მზღვეველის მიერ. მართალია, აღნიშნულ მუხლს კანონმდებელი ქონების დაზღვევის ნაწილში ითვალისწინებს, თუმცა, მისი შინაარსის გათვალისწინებით ნორმა სხვა სახის დაზღვევასაც მოიცავს.

აღნიშნული ნორმა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მომწესრიგებელ ნორმად მიიჩნევა, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შეტყობისთანავე დამზღვევი ვალდებულია აღნიშნული შემთხვევა აცნობოს მზღვეველს. მზღვეველის უფლება დამზღვევისათვის კონკრეტული მითითებების მიცემის გამომდინარეობს სწორედ სსკ-ის 814-ე მუხლის პირველ ნაწილში დამზღვევის ვალდებულება ვლინდება. დამზღვევი ვალდებულია მზღვეველთან თანამშრომლობაზე, დაზღვევის ხელშეკრულებისათვის ერთ-ერთი პრინციპია.

დამზღვევის კეთილსინდისერ და გულისხმიერ ქმდებაში სწორედ ყოველივე ზემოაღნიშნული იგულისხმება დამზღვევის მხრიდან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება და დაზღვევის ობიექტზე ზრუნვა, მზღვეველთან თანამშრომლობა. დამზღვევის ვალდებულებაა, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს ზიანი და გაითვალისწინოს მზღვეველის ინტერესები და მითითებები. დამზღვევის მხრიდან არ უნდა ფიქსირდებოდეს დაზღვევის ობიექტის მიმართ გულგრილობა, ობიექტის დაზღვევის მიუხედავად ის მაინც ვალდებულია ობიექტის მიმართ გამოიჩინოს ზრუნვა. ის ვალდებულია დაზღვევის ობიქტზე ისე იზრუნოს და იგივე ვალდებულებით მოეკიდოს მასზე ზრუნვის საკითხს, როგორც ის განახორციელებდა, იმ შემთხვევაში თუ ობიექტი არ იქნებოდა დაზღვეული, ,,მაგალითად: თუ დამზღვევის თვალწინ ხანძარი გაუჩნდა მის საკუთრებაში არსებულ სახლს, გაუმართლებელია დამზღვევის უმოქმედობა იმ საფუძვლით, რომ სახლი დაზღვეულია და ის მაინც მიიღებს ანაზღაურებას''. (ირემაშვილი ქეთევანი, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი 2016, 70-გვ)[23] მოცემულ მაგალითში თუ დამზღვევის მხრიდან იქნებოდა დროული რეაგირება, ყოველივე ეს გამოიწვევდა ნაკლებ ზიანს რაც მზღვეველის ინტერესია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვლინდება ის გარემოება, რომ დაზღვევის ხელშეკრულების მიუხედავად დამზღვევმა, არ უნდა მოახდნოს ზრუნვის უგულვებელყოფა; არ უნდა იმოქმედოს განზრახ უგულისყუროდ. აქედან

გამომდინარე დამზღვევს ისევე ეკისრება ზრუნვა, როგორც იმოქმედებდა არა დაზღვევის შემთხვევაში. ვალდებულაი გაუფრთხილდეს დაზღვევის ობიექტს, ზრუნვის ვალდებულება მას ისევე ეკისრება, როგორც დაზღვევის ხელშეკრულებამდე.

დამზღვევი ვალდებულია შეასრულოს მზღვეველის მითითებები. სწორედ ამ კონკრეტული მითითებების დროს გაღებული ხარჯის ანაზღაურება უნდა მოხდეს მზღვეველის მხრიდან. ძირითადად მზღვეველი გათანაბრებულია მესაკუთრესთან. მზღვეველი იმ შემთხვევაშიც იღებს ხარჯებს თუ ზიანის შემცირების ან ობიექტის გადარჩენის მიზნით გაწეული ხარჯი უშედეგო ან ზიანის აცილების მიზნით უშედეგო მცდელობა აღმოჩნდა, მზღვეველი ყოველივე ამის მიუხედავად ვალდებულია გაწეული ხარჯი აანაზღაუროს.

ნაშრომში ტექსტში განხილულია დამზღვევის კეთილსინდისიერების პრინციპის განმარტება, თუ რა მოვალეობები და ვალდებულებები აკისრია მას მზღვეველის წინაშე სადაზღვევო ხელშეკრულების დროს, როგორ უნდა განახორციელოს დაზრვევის ობიექტთან დაკავშირებით დაკისრებული პასუხისმგებლობა, ასევე დამზღვევის მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქმედებას შესაძლოა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს როგორც ხელშეკრულებაში, აგრეთვე არაკეთილსინიდისიერებამ შესაძლოა სადაზღვევო კომპანიას მიაყენოს ზიანი და მოხდეს მისი ფინანსური დანაკარგის წარმოშობა.

თავი IV. მზღვეველის კეთილსინდისიერება

სადაზღვევო ხელშეკრულების დადების დროს, ეკისრება კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა დამზღვევის მსგავსად მზღვეველსაც. თუმცა კანონი ნათლად არ განმარტავს და არ მიუთითებს მზღვეველს თავის მოვალეობის შესრულებაზე. ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული უფლებების და მოვალეობის შესრულებას კეთილსინდისიერად არ აკონკრეტებს მუხლში, რომელიც იწვევს მზღვეველის უპირატესობას სათავისოდ.

,,სააპელაციო პალატა ერთ-ერთ საქმეზე განმარტავს, რომ მზღვეველს, როგორც ძლიერ კონტრაჰენტს, გაცილებით მეტი გულისხმიერება და წინდახედულება მოეთხოვება, ვიდრე დამზღვევს. ასეთი მსჯელობა სასამართლომ იმ არგუმენტზე დაამყარა, რომ სადაზღვევო კომპანია მეწარმეს წარმოადგენს და სადაზღვევო საქმიანობა მისი საქმიანობის ერტადერთი სფეროა''. (ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, 71-გვ)[24]

დაზღვევის პრაქტიკაში უფრო მზღვეველს მეტად მოეთხოვება კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა, ალბათობით უფრო მეტი საშუალებაა იმის, რომ მზღვეველი მოქმედებდეს არაკეთილსინდისიერად და არ შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომელიც აქვს დაკისრებული დაზღვევის ხელშეკრულებით.

სსკ-ის მუხლები ითვალისწინებს ისეთ გარემოებებს, დამზღვევის მხრიდან კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის შემთხვევაში, რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება დადგეს, მაგრამ კანონმდებლობა არ ამახვილებს ყურადღებას მზღვეველის მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის შემთხვევაზე. დამზღვევის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედება, მზღვეველს აქვს საშუალება შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება. თუმცა მზღვეველის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების დროს დამზღვევი შეიძლება რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

მზღვეველის კეთილსინდისიერების ერთ-ერთი კრიტერიუმია, ხელშეკრულების შედგენა გასაგებად და მარტივად. დამზღვევისათის გასაგები და ჩამოყალიბებული უნდა იყოს, ხელშეკრულებაში არ უნდა იყოს ბუნდოვანი აზრი, რისი გაგებაც შესაძლოა დამზრეევევისთვის არ იყოს შესაძლებელი.

მზღვეველსა და დამზღვევს შორის, რომელიმე მხარე არ უნდა სარგებლობდეს უპირატესობით, კონკრეტულად მზღვეველმა დაზღვევის ხელშეკრულების გამოცდილება არ უნდა გამოიყენოს არაკეთილსინდისიერად. მისთვის სავსებით ცნობილი და მარტივია დაზღვევის ტერმინებს; ფლობს ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ უპირატესობას , ასევე რათქმა უნდა ეკონომიკურ. ხოლო მეორე მხარე დამზღვევი მზღვეველთან შედარებით სუსტი სუბიექტია, მას არ აქვს ისეთი გამოცდილება, როგორც მზღვეველს, ის არ არის გაცნობიერებული დაზღვევის კანონმდებლობაში, როგორც მზღვეველი.

ყოველივე ეს მიუნიშნებს იმის შესახებ, რომ მზღვეველის და დამზღვევის შესაძლებლობები სამართლებრივად ურთიერთობასა და სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს იქნეს დარეგულირებული, სადაზღვევო ხელშეკრულებაში მხარეების თანასწორობა, როგორც ინფორმაციის თვალსაზრისით ასევე, ინფორმირებულობის კუთხით. წინამდებარე ნაშრომში განხილულია მზღვეველის კეთილსინდიისერების პრინციპი, მის მნიშვნელობა დაზღვევის ხელშეკრულებაში,

რა ვალდებულებები და მოვალეობები აკისრია მზღვეველს , რათა კეთილსინდისიერად ჩაითვალოს ყოველი მისი ქმედება.მზღვეველის ვალდებულებაში იგულისხმება ზიანის ანაზღაურება, სწორედ სადაზღვევო წინასახელშეკრულებო ეტაპზე დაპირებული და შეთანხმებული ვალდებულებები უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად. თუმცა არსებობს ვარაუდი და ეჭვი იმისა, რომ მზღვეველმა არ შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება და ბუნდოვანი მიზეზების საშუალებით თავი აარიდოს ვალდებულების შესრულებას.

,,ერთ-ერთ სადაზღვევო დავაზე სასამართლომ განმარტა, რომ რადგან მზღვეველი წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების შემთავაზებელ მხარეს, მას ევალება ამ პირობათა სამართლიანობის პრინციპით განსაზღვრა. აღნიშნული, სასამართლო მსჯელობით, გამიზნულია დამზღვევის ინტერესების დაცვისკენ, რადგან მას ნაკლები შესაძლებლობა აქვს, გავლენა მოახდინოს ხელშეკრულების პირობებზე. ასეთი მსჯელობით დამზღვევი ხელშეკრულებიის სუსტ მხარედ წარმოჩინდება”.(საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ოქტომბრის N ას-698-668-2014 განჩინება).[25]

მზღვეველის კეთილსინდისიერებაში იგულისხმება ყველა დამზღვევის ინტერესის გათვალისწინება ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ეს საკითხი უკავშირდება მზღვეველის გადახდიის უუნარობას, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მზღვეველი ითვალისწინებს დამზღვევის ინტერესებს და ზიანის შემთხვევაში მოხდეს, ყველა დაზღვეულის მიმართ კეთილსინდისიერად ანაზღაურების საკითხი, მზღვეველმა სწორედ ამ დროს მოქმედების პერიოდში უნდა გამოავლინოს თავისი კეთილსინდისიერება.

დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ეტაპზე ისევე როგორც დამზღვევი, მზღვეველიც ვალდებულია დაიცვას დამზღვევის ინტერესები, ისევე როგორც ის

დაიცავდა ხელშეკრულების ეტაპზე საკუთარ ინტერესებს. მზღვეველის მხრიდან თუ მოხდება ვალდებულების დარღვევა, რაც მას ხელშეკრულებით ჰქონდათ გათვლისწინებული და არ შეასრულებს ამ ვალდებულებას კეთილსინდისიერად, ამ შემთხვევაში დამზღვევს დამოუკიდებლად მოუწევს იმ ზიანის ანაზღაურება რისი ნდობაც და მოლოდინი ჰქონდა მზღვეველის მხრიდან. სწორედ მზღვეველის არაკეთილსინდისიერებით შესაძლოა დამზღვევმა განიცადოს ფინანსური დანაკარგი და ტავად მოუწიოს იმ ზიანის ანაზღაურება რაც მიადგა მას. სწორედ აქ იკვეთება დამზღვევის სისუსტე.

,,მზღვეველის კეთილსინდიისერება კონტრაჰირების ეტაპზე ხელშეკრულების დადებაზე უარის გონივრულ ვადაში განცხადებასაც გულისხმობს. აღნიშნული დამზღვევის ინტერესების დაცვის აუცილებლობითაა განპირობებული. მზღვეველისაგან პასუხის მიღებამდე დაზღვევის ობიექტი რისკის ქვეშაა, რადგან არ არსებობს მის მიმართ დამდგარი ზიანის ანაზღაურების გარანტია". (ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, 76-გვ)[26] კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მზღვეველს, მეტი მზრუნველობით მოეკიდოს დაზღვევის ინტერესს და გაითვალისწინოს ხელშეკრულების დადებაზე დაგვიანებული უარით მძიმე მდგომარეობაში არ ჩააყენოს ის.

დაზღვევის ხელშეკრულების დადემაბდე დამზღვევთან მზღვეველი აანალიზებს სადაზღვევო რისკს, რის შემდეგაც ის იღებს ხელშეკრულების დადებაზე გადაწყვეტილებას. ავღნიშნეთ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაა დამზღვევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კეთილსინდისიერბის პრინციპის კრიტერიუმია და ასევე ვალდებულებაცაა, მაგრამ იგივე ვალდებულებას აკისრებს დაზღვევის სამართალი და კანონმდებლობა მზღვეველს. არსებობს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება ფლობდეს მზღვეველი და რომლის არცოდნამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს დამზღვევს. აქედან გამომდინარე, მზღვეველიც

ვალდებულია დამზღვევს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდოს.

დამზღვევი ინფორმირებული უნდა იყოს მზღვეველის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, რადგან მოლოდინი იმისა, რომ მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას აანაზღაურებს ზიანს იქნება ფუჭი. სწორედ ეს გარემოება გამოიწვევს დამზღვევის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას. მზღვეველი ვალდებულია გაკოტრების ან ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია დამზღვევს.

4.1. წინასახელშეკრულებო ეტაპზე

დაზღვევის სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპი მოიცავს, სადაზღვევო ურთირთობის მონაწილეთა ვალდებულებას თანაბრად შეასრულონ მასზე დაკისრებული უფლებები და მოვალეობები, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ეკისრება ორივე მხარეს. დაზღვევის ხელშეკრულებაში დამზღვევი ვალდებულია სადაზღვევო ობიექტთან დაკავშირებული, ყველა მნიშვნელოვანი და იმ დროისთის არსებული ინფორმაცია მიაწოდოს მზღვეველს, დამზღვევის მხრიდან ინფორმაციის არ შეტყობინება გამოიწვევს არაკეთილსინდისიერებას და შესაძლოა მზღვეველის ფინანსურ ხარჯებს, სადაზღვევო ხელშეკრულებაზე ასევე მზღვეველიც ვალდებულია ინფორმაციის მიწოდებაზე.

სსკ-ის 809-ე მუხლი მხარეებს მიუთითებს არასწორი ინფორმაციის მიწოდების შედეგზე. დამზღვევის მიერ გაცემულ არასწორი ინფორმაციამ, შესაძლებელია გამოიწვიოს მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი. მაგრამ კანონმდებლობა ასევე ამახვილებს ყურადღებას, თუ მზღვეველი არასწორი ინფორმაციის შესახებ წინასწარ იყო ინფორმირებული და იცოდა ამის შესახებ და

დამზღვევის ბრალი არ იკვეთება, ამ შემთვევაში მზღვეველი ვერ შეძლებს ხელშეკრულებაზე თქვას უარი.

მზღვეველი ინფორმაციას წინასახელშეკრულებო ეტაპზე დამზღვევს აწვდის გასაგებ ენაზე მისთვის, რათა სააზღვევო ხელშეკრულება არ იყოს ბუნდოვანი და დამზღვევმა შეძლოს მისი გაგება .საქართველოს კანონმდებლობა სახელშეკრულებო ურთიერთობის ყველა მხარეს ავალდებულებს, მეორე მხარესთვის გასაგები, ნათელი და მარტივი იყოს ხელშეკრულება, რათა ყოველივე ბუნდოვანებამ არ გამოიწვიოს, ერთი მხარის მიერ არაკეთილსინდისიერება. სწორედ აქედან გამომდინარე, კანონი მკაცრად არეგულირებს და მიუთითებს მზღვეველს კეთილსინდისიერად იმოქმედოს და ხელშეკრულება დამზღვევსა და მზღვეველს შორის დაიდოს გასაგები და მარტივი ფორმით. მზღვეველის მხრიდან არ უნდა მოხდეს თავისი შესაძლებლობების, სამართლებრივი ურთიერთობის გამოცდილების არაკეთილსინდიისერად გამოყენება.

მზღვეველის მხრიდან ინფორმაციის მიწოდებით ნდობის დამყარება უნდა მოხდეს დამზღვევსა და მზღვეველს შორის. დამზღვევი ნდობის საფუძველზე წარმოშობს ურთიერთობას და ხელშეკრულების გათვალისწინებით, დაზღვევის ობიექტზე ზიანის წარმოშობის შემთხვევაში, მზღვეველს აკისრებს ვალდებულებას ზიანის ანაზღაურება მოხდეს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით. მზღვეველის არაკეთილსინდისიერებით, შესაძლოა ზიანის ანაზღაურება დამზღვევს წარმოეშვას, რაც გამოიწვევს მის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას.

,,წინასახელშეკრულებო ეტაპზე დამზღვევის ინფორმირება მნიშვნელოვანია მისი ნების ნამდვილობის უზრუნველსაყოფად. დამზღვევს ნათლად უნდა ესმოდეს ხელშეკრულების არსი. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დამზღვევის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წინაპირობების შემეცნება. აღნიშნული მოიცავს, როგროც სადაზღვევო დაფარვის, ისე - გამონაკლის და ყველა იმ პირობას,

რომელიც მზღვეველის ვალდებულების შეზღუდვასთან დაკავშირებულ დათქმას შეიცავს".(ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, 76-გვ)[27]

კანონმდებლომაბ მზღვეველის მხრიდან ინფორმაციის გაცემის ვალდებულება უფრო ნათელი უნდა გახადოს, მზღვეველის ვალდებულია მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ შეატყობინოს დამზღვევს, რის შემდეგაც დამზღვევი თავად გადაწყვეტს წარმოიშვას თუ არა მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობა. როგორც აღინიშნა მზღვეველის ფინანსური მდგომარეობა დაზღვევის ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანია, რადგან იგი არის გარანტი იმისა, რომ დამზრვევი იყოს მშვიდად და დაცულად, რომ მოხდება ზიანის ანაზღაურება. კანონმდებლობა ორივე მხარეს ავალდებულებს გასცეს ინფორმაცია.

,,მზღვეველი ვალდებულია მუქი ნაბეჭდით და გარკვევით მიანიშნოს დამზღვევისათვის მნიშვნელოვანი პირობის თაობაზე არა მხოლოდ ხელშეკრულებაში, არამედ ცალკეული ტიპის დოკუმენტზე დამზღვევთან კომუნიკაციისას. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მზღვეველმა დამზღვევს დაყოვნების გარეშე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ნებისმიერი ცვლილების თაობაზე, მათ შორის, მისი სახელწოდებისა და მისამართის, მისი სათაო ოფისის მისამართის, ასევე დაზღვევის აგენტისა და ფილიალის მისამართის შესახებაც".(ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, 76-გვ)[28]

,,მზღვეველი ვალდებულია ხელშეკრულების დადების ეტაპზე განმცხადებელი უზრუნველყოს სტანდარტული ხელშეკრულების ასლით და ცალკე დოკუმენტით ისეთ გარემოებებზე მითითებით, როგორებიცაა: მხარეთა დასახელება და მისამართები; დაზღვევის (მოსარგებლის) დასახელება და მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაზღვევის აგენტის დასახელება და მისამართი; დაზღვევის ობიექტის, სადაზღვევო რისკისა და სადაზღვევო შემთხვევის დასახელება;

სადაზღვევო თანხის ოდენობა”.(ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, 76-გვ)[28]

სსკ-ის 345-ე მუხლი ტექსტის ბუნდოვანებაზე მიგვითითებს, სადაც საუბარია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ერთ-ერთ კრიტერიუმზე, რომლის გათვალისწინება სწორედ მზღვეველის მხრიდან უნდა მოხდეს, ტექსტი ხელშეკრულების არ უნდა იყოს ბუნდოვანი მეორე მხარისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის სასარგებლოდ გადაწყდება მისი განმარტება. ტექსტი მარტივად უნდა იყოს შედგენილი რათა გასაგები იყოს ყველა მხარისთვის. არ მოიცავდეს ბუნდოვანებას და გაურკვეველ შინაარსს. ამ მუხლის პასუხისმგებლობა ეკისრება მზღვეველს დაზღვევის ხელშეკრულებაში, ხელშკერულების პირობები ნათლად უნდა იყოს და გასაგებად.

მზღვეველი ყოველივე ამას დამატებით ვალდებულია დამზღვევი ინფორმირებული იყოს პრემიასთან დაკავშირებულ არსებულ ყველა საკითხებზე, პრემიის გადახდის დროზე, პირობებზე, პრემიის თანხის ოდენობაზე, კონკრეტული ადგილი, ყოველივე ამ ინფორმაციის მიწოდება დამზღვევზე უნდა მოხდეს ამომწურავად და დროულად, რომ მას მიეცეს საშუალება მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

,,ხელშეკრულების მოქმედებისა და სადაზღვევო პერიოდების აღნიშვნა; განცხადების გამოთხოვისა და ხელშეკრულებაზე უარის განცხადების წესი; ხელშეკრულების მარეგულირებელი კანონმდებლობის დასახელება; მზღვეველის მიმართ პრეტენზიის წარდგენის პროცედურა; მზღვეველის საგარანტიო ფონდებსა და კომპენსაციის სხვა საშუალებების თამობაზე არსებული ინფორმაცია”.(ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, 77-გვ)[29]

მზღვეველმა ყოველივე ამ ინფორმაციის მიწოდება უნდა მოახდინოს დროულად, ისე რომ ხელის შემშლელი ფაქტორები არ წარმოიშვას და დაზღვევიც არ აღმოჩნდეს,

მზღვეველის მხრიდან ინფორმაციის დროულად არ მიწოდებიდან გამომდინარე არასასურველ მდგომარეობაში. ასევე მზღვეველის მიერ არ უნდა მოხდეს სადაზღვევო პროდუქტზე ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც არ შეესაბამება პროდუქტს და არ წარმოადგენს რეალობას, სადაზღვევო პროდუქტზე არასწორად მიწოდებულმა ინფორმაციამ შესაძლოა მომხმარებელი შეიყვანოს შეცდომაში და მიიღოს არასწორი გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნული ინფორმაცია დამზღვევისათვის გასაგები და მარტივად აღქმადი უნდა იყოს და არ უნდა წარმოადგენდეს ბუნდოვანს, არ უნდა გამოიწვიოს დაბნევა და შეცდომაში შეყვანა დამზღვევის.

მზღვეველი ინფორმირებულია ყველა მნიშვნელოვან საკითხზე რაც ხელშეკრულებაში შესაძლოა გათვალისწინებული იქნეს, ხელშეკრულების სტანდარტული პირობის მიუხედავად თუ ის ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების და ნდობის პრინციპს გამოიწვევს ამ პირობის ბათილობას, მოცემული პირობის დაცვას კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს, დაზღვევის სამართალშიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს კეთილსინდისიერების პრინციპი.

მზღვეველმა დაზღვევის ხელშეკრულებაში არ უნდა შეიტანოს ისეთი პირობები რაც არაკეთილსინდისიერია და საზიანოა მეორე მხარისთვის, ნდობაზე დამყარებული უნდა იყოს მათი ურთიერთობა.

მზღვეველმა თავისი უფლებები და შესაძლებლობები არ უნდა გამოიყენოს ბოროტად და არ უნდა მიაყენოს გამიზნულად ზიანი დამზღვევს. ხელშეკრულებით გათვალისიწნებული ვალდებულებებს თავი არ უნდა აარიდოს.

დაზღვევის ხელშეკრულებაში მხარეებმა თავიდანვე უნდა განსაზღვრონ მხარეების მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების შედეგი. რა ქმედება ჩაითვლება კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად. მზღვეველის მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა საყურადღებოა, უფრო მეტია

ალბათობა იმისა, ბოროტად გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები, რასაც უფრო ამარტივებს კეთილსინდისიერების ზუსტი განმარტების არარსებობა. კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის შემთხვევაში დამზღვევის მიერ არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში იწვევს ხელშეკრულების მოშლას.თუმა მზღვეველის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედება ყოველთვის არ იწვევს ზიანის ანაზღაურებას.

მზღვეველი ინფორმაციის მიწოდების დროს ვალდებულია დამზღვევს მიაწოდოს საინფორმაციო ფურცელი, სადაც ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოცემულია

საინფორმაციო ფურცელი რომელის განმარტება გულისხმობს , სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზების ეტაპზე მომხმარებლისთვის მიწოდებული დოკუმენტი , რომელიც შეიცავს მითითებას სადაზღვევო პროდუქტის პირობების შესახებ, სწორედ საინფორმაციო ფურცლის გასაგებად, ნათლად და მკაფიოდ გაგების შემდეგ, როდესაც ინფორმაცია იქნება ამომწურავად მიწოდებული. მას შემდეგ არის გონივრული მზღვეველსა და მომხმარებელ შორის ხელშეკრულების დადება, როდესაც მომხმარებელი დარწმუნდება ინფორმაცია სრულად არის მიწოდებული და მზღვეველი კეთილსინდიისერია, სადაზღვევო ხელშეკრულების წარმოშობა შესაძლებელია.

საინფორმაციო ფურცელი , ყველა იმ ინფრმაციას მიაწვდის დამზღვევს რომელიც მნიშვნელოვანი და აუცილებელია ხელშეკრულების დადების ეტაპზე, სანამ მათ შორის წარმოიშვება სამართლებრივი ურთიერთობა.

,,კეთილსინდისიერების პრინციპი მზღვეველს ავალდებულებს მართლზომიერად განახორციელოს მისი უფლებები, ამის მაგალითს სასამართლო დავებიც მიუთითებს კერძოდ'' (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ოქტომბრის N ას -1708 -1602-2012 გადაწყვეტილება)[30] სსკ -ის 817-818-ე მუხლების განმარტებასთან არის დაკავშირებული, კონკრეტულად თუ სადაზღვევო

დავა დაკავშირებულია სადაზღვევო შენატანის (პრემიის) გადაუხდელობასთან დაკავშირებით. მზღვეველის მხრიდან უნდა მოხდეს დამზღვევის ინფორმირებულობა დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და მზღვეველი არ უნდა დაელოდოს, სადაზღვევო ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტს. ასევე მნიშვნელოვანია საფუძველი იმისა თუ, რატომ არ ახორციელებს დამზღვევი სადაზღვევო პრემიის შეტანას.მზღვეველმა დამზღვევს უნდა განუსაზღვროს ვადა პრემიის შეტანისა, თუ არ იქნება კონკრეტული ვადა პრემიის გადახდის და არ იქნება მითითებული მზღვეველის მხრიდან, მოცემული საკითხი სადავოა შეწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს თუ არა.

ზემოაღნიშნული მუხლები ხაზს უსვამს მზღვეველის უფლებას დამატებითი ვადის მიცემასთან დაკავშირებით დამზღვევისთვის რათა გადაიხადოს პრემია. მზღვეველის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული, რომ მისთვის მინიჭებული უფლება თუ დამზღვევი არ გადაიხდის პრემიას, მზღვეველს აქვს უფლება მოშალოს ხელშეკრულება და შეწყვიტოს. მაგრამ სწორედ აქ იკვეთება მზღვეველის კეთილსინდისიერება და მოცემული მუხლები არ არის მავალდებულებელი მაგრამ მზღვეველს შეუძლია შეატყობინოს დამზღვევს ხელშეკრულების მოშლის საფუძველი პრემის გადაუხდელობა შესაძლოა გახდეს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მზღვეველს აძლევს უფლებას, 817-ე და 818-ე მუხლების გათვალისწინებით, სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდის დროს, მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება და ასევე მისცეს დამზღვევს დრო იმისა, რომ მოხდეს პრემიის გადახდა, კანონი მზღვეველს არ ავალდებულებს, მას აქვს უფლება განახორციელოს ყოველივე ეს მაგრამ მავალდებულებელი ხასიათი არ აქვს, ასევე სსკ-ი მზღვეველს ათავისუფლებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას თუ, მითითებულ დროში არ იქნა გადახდილი პრემია და პროცენტი, მზღვეველი როგორც ავღნიშნეთ თავისუფლდება, მასზე დაკისრებული მოვალეობისაგან, ყოველივე ეს წარმოადგენს ხელშეკრულების მოშლის საფუძველს.

სასამართლო პრაქტიკა მზღვეველს ავალდებულებს, დროულად მოხდეს შეტყობინება დამზღვევისთვის პროცენტის გადახდასთან დაკავშირებით და ასევე დრო, რომელსაც მზღვეველი აძლევს რათა მოხდეს პროცენტის გადახდა დროულად იქნეს მიწოდებული ინფორმაცია დამზღვევისთვის.

სასამართლოს განმარტება, ასევე მნიშვნელოვანია ამ კონკრეტულ საკითხზე, სადაც განმარტავენ, რომ თუკი დამზღვევი არ შეიტანს სადაზღვევო შესატანს, მზღვეველი თავისუფლდება მასზე დაკისრებული მოვალეობისაგან, რაც გულისხმობს სწორედ შემთხვევის დადგომის შემთხვევაში მზღვეველი პასუხისმგებელი არ არის აანაზღაუროს ზიანი, ყოველივე ზემოაღნიშნულისგან თუ თავისუფლდება მზღვეველი, მაშინ დამზღვევი უნდა გათავისუფლდეს პრემიის გადახდისაგან. (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ნოემბრის N 2ბ/ 3080-12 გადაწყვეტილება)[31] სადაზღვევო პრემიის გადახდის შემთხვევაში დამზღვევის ფინანსური მდგომარეობა უარესდება.

აღნიშნულ მუხლებში მოიაზრება მზღვეველის ნება შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხოლო მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების არ შეწყვეტა და დუმილი, მზღვეველის მხრიდან დროის გახანგრძლივება არ უნდა იყოს საფუძველი იმისა, რომ მან მიიღოს პრემია დამზღვევისაგან.მოცემულ შემთხვევაში მზღვეველის სურვილი კეთილსინდიისერების პრინციპის დარღვევაა.

,,დამზღვევის ინფორმირების ვალდებულების დარღვევა დამოკიდებულია და შესაძლოა უკავშირდება სადაზღვევო ინტერესს. კერძოდ, აშშ- ის სადაზღვევო პრაქტიკაში დაფიქსირდა მზღვეველის არაკეთილსინდისიერი ქმედების ტენდენცია. კერძოდ, დაზღვევის ხელშეკრულების დადების ეტაპზე მზღვეველი სადაზღვევო ინტერესის არარსებობის შესახებ სათანადოდ არ რეაგირებს და არ აფრთხილებს დამზღვევს მისი მნიშვნელობის შესახებ; ხოლო სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ეტაპზე კი უარს ამბობს ზიანის ანაზღაურებაზე სადაზრვევო ინტერესის არარსებობის საფუძვლით. მზღვეველის ამგვარი ქმედება არამხოლოდ

ეწინააღმდეგება კეთილსინდიისერების პრინციპს, არამედ საფრთხეს უქმნის საჯარო წესრიგს".(ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, 79-გვ)[32]

დაზღვევის ხელშეკრულებაში დამზღვევის შესაძლებლობების სისუსტე და მისთვის არასწორი ინფრმაციის მიწოდება პრაქტიკაში აქტუალურია, დამზღვევის შესაძლებლობები შეფასებულია მზღვეველთან შედარებით ნაკლებად სწორედ აქედან გამომდინარე დამზღვევი წარმოადგენს სუსტ მხარეს. მზღვეველის მხრიდან სარგებლობა დამზღვევის სისუსტის ყურადსაღებია, სადაზღვევო კომპანიები სარგებლობენ დამზღვევის სისუსტით და აჭიანურებენ ზიანის ანაზღაურებას, ხშირ შემთხვევაში უარსაც განაცხადებენ

4.2 სადაზღვევო პერიოდი

კეთილსინდისიერების პრინციპის არსი, სწორედ, დამზღვევისა და მზღვეველის თანასწორ შესაძლებლობაზე, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებაზე, არ მოხდეს რომელიმე მხარის მიერ არაკეთილსინდიისერი ქმედება და მეორე მხარე არ აღმოჩნდეს რთულ მდგომარეობაში.

მზღვეველის ქმედება შეიძლება იყოს კეთილსინდისიერი, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში უშვებდეს შეცდომებს სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი. სასამართლომ სწორად უნდა შეაფასოს მზღვეველის ქცევა და საჭიროების შემთვევაში, გაახორციელოს მისი დაცვა, კანონით მინიჭებული უფლებით.

სასამართლომ მზღვეველის კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევაც სწორად უნდა შეაფასოს, მკაცრად უნდა მოხდეს პრინციპის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრება მზღვეველზე.

,,აშშ-ის დაზღვევის დოქტრინაში ცალკეული საკითხია და ცალკე მდგომად განიხილება მზღვევლის არაკეთილსინდისიერი ქმედება. მისი ერთ-ერთი ყველაზე

მნიშვნელოვანი და ამომწურავი განმარტება ვისკონსისის უზენაეს სასამართლოს ეკუთვნის, რომლის დასკვნით მზღვეველის არაკეთილსინდისიერებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარი არ არის დამყარებული გონივრულ საფუძველზე და მზღვეველმა იცის ან დაუდევრად არ ითალისწინებს ასეთი საფუძვლის არსებობას".(ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, 80-გვ)[32]

მზღვეველის სადაზღვევო პერიოდში არაკეთილსინდისიერ ქმედებად მიიჩნევა, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის არ ანაზღაურება, როდესაც მზღვეველი თავს არიდებს ზიანის ანაზღაურებას. მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანი აანაზღაუროს, არ უნდა მოხდეს მისი მხრიდან თავის არიდება ვალდებულებაზე.

,,მზღვეველის არაკეთილსინდისიერების კონცეფცია მძიმე სამართალდარღვევების პრევენციის იდეას ეფუძნება. არაკეთილსინდისიერებისთვის აშშ-ში მზღვეველმა შეიძლება ორჯერ აგოს პასუხი ერთი და იგივე ქმედებისთვის. მაგალითად: დამზღვევისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასტან ერთად მზღვეველს შეიძლება ცალკეული შტატის დაზღვევის დეპარტამენტმაც დააკისროს ჯარიმა.

ასეთი მიდგომა არაერთგვაროვან შეფასებებს იმსახურებს კერძო მართმსაჯულების პრინციპთან შესაბამისობის თვალსაზრისით. თუმცა, ზიანის პრევენციის მიზნის გათვალისწინებით, ის მნიშვნელოვნად ამცირებს მზღვეველის არაკეთილსინდისიერის ქმედების განმეორებით ჩადენის მოტივაციას".(ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, 80-გვ)[33]

მზღვეველის არაკეთილსინდისიერებაში მოიაზრება ყველა ის ქმედება, რომელსაც დაარღვევს მზღვეველი დაზღვევის ხელშეკრულების პერიოდში. ეს შეიძლება იყოს სადაზღვევო ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით მოთხოვნები, ასევე

გონივრული ვადა იმისა, რომ მზღვეველმა რეაგირება მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნაზე, უარი ან თანხმობა სადაზღვევო ანაზღაურებაზე მოხდეს მზღვეველის მხრიდან დროულად და გონივრულ ვადაში. მზღვეველის არაკეთილსინდისიერ ქმედებად მოიაზრება სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმა, დასაბუთების და არგუმენტის გარეშე.

მზღვეველის არაკეთილსინდისიერ ქმედებად შესაძლოა ასევე მიჩნეულ იქნეს, დაზღვევის ხელშეკრულება მესამე პირებთან, სადაც მზღვეველი დამზღვის სასარგებლო პოზიციას დაიკავებს და მასთან შეთანხმებით მიიღებს გადაწყვეტილებას.

,,ერთ-ერთი პირველი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელმაც დაზღვევის ხელშეკრულებაში კეთილსინდისიერებაზე დათქმა ნაგულისხმევ პირობად ჩათალა, აშშ-ში იყო *brasil v Maryland casualty co.* ნახევარი საუკუნის შემდეგ კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა , რომ მზღვეველის არაკეთილსინდისიერების, როგორც სპეციალური კატეგორიის, შეფასებისას არ კმარა სახელშეკრულებო ვალდებლებით შემოფარგვლა. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ მზღვეველის დელიქტურ ვალდებულებაზე მიუთითა".(ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, 81-გვ)[34]

,,მზღვეველის არაკეთილსინდისიერების კონცეფციის განვითარებამდე დამზღვევის მიერ მზღვეველისადმი წარდგენილი სარჩელი უმთავრესად სახელშეკრულებო მოთხოვნას ემყარებოდა. არასახელშეკრულებო მოთხოვნებიდან დამზღვევს შეზღუდული არჩევანი ჰქონდა. კერძოდ, მას მოთხოვნის საფუძვლად შეეძლო განესაზღვრა მზღვეველის თაღლითობა, აღნიშნული თავის მხრივ დამზღვევისაგან იმის მტკიცებას მოითხოვდა, რომ მზღვეველს თავიდანვე გამიზნული ჰქონდა ხელშეკრულების დარღვევა. ალტერნატივის სახით დამზღვევს შეეძლო მოთხოვნა წარედგინა მორალური ზიანის განზრახ გამოწვევისთვის, რომელიც ყოველთვის არ ფარავდა მატერიალურ ზიანს. ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოები დამზღვევის

იურიდიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას მზღვეველს აკისრებდნენ. თუმცა ძირითადად დამზღვევი არათანაბარ და სუსტ მდგომარეობაში იმყოფებოდა მზღვეველის მიმართ მოთხოვნის წარდგენისას".(ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, 81-გვ)[35]

დამზღვევი სადაზღვევო ხელშეკრულების დროს განიხილება როგორც სუსტი მხარე, მისი შესაძლებლობები დამზღვევთან შედარებით უფრო ნაკლებია, დამზღვევის მხრიდან მზღვეველისათვის მოთხოვნა იმისა , რომ შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება, შესაძლოა მზღვეველის მხრიდან მოჰყვეს თავის არიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობაზე, სწორედ აქედან გამომდინარე არსებობს ვარაუდი იმისა, რომ მზღვეველის მხრიდან შესაძლოა არაკეთილსინდისიერ ქმედებას ჰქონდეს ადგილი. მზღვეველსა და დამზღვევს შორის ხელშეკრულების წარმოშობა ხდება პრემიის გადახდის მომენტიდან, მზღვეველი სადაზღვევო ქონებსათან დაკავშირებულ ზიანის აანაზრაურებს, სწორედ მას შემდეგ, რაც თუ დამზღვევის მხრიდან არის გადახდილი პრემია.მოცემული საკითხი იწვევს აზრთა სხვადასხვაობას პრემიის გადახდამდე მომხდარ შემთხვევაზე ვინ არის პასუხისმგებელი. მაგრამ სსკ-ის თანახმად ხელშეკრულება წარმოიშვება დამზღვევის მხრიდან პრემიის გადახდის შემდეგ.

დაზღვევის ხელშეკრულების დადება წარმოშობს სადაზღვევო ურთიერთობას მხარეებს შორის, მხარეები თანხმდებიან თავიდანვე სადაზღვევო რისკზე, ხელშეკრულების პირობებზე, სადაზღვევო თანხაზე .დამზღვევი და მზღვეველი უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე, ყოველი მნიშვნელოვანი გარემოება გათვალისწინებული უნდა იყოს ხელშეკრულების არსებითი პირობის განხილვის მომენტისთის, რათა მხარეთა შორის არ წარმოიშვას გაურკვევლობა სადაზღვევო ქონებასთან ან ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.ერთ- ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სადაზღვევო რისკის განსაზღვრა.

სადაზღვევო რისკის შეფასება სწორედ დამზღვევის ინფორმაციის მიწოდებით ხდება თვალსაჩინო და გასაგები მზღვეველისთვის, სადაზღვევო რისკის შეფასება მზღვეველმა უნდა მოახდინოს. კეთილსინდისიერების პრინციპი სწორე ავალდებულებს დამზღვევს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა სწორად შესაფასოს სადაზღვევო რისკი. თავად გადაწყვიტოს არის თუ არა სასურველი მისთვის ხელშეკრულების წარმოშობა. პირველი კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს დამზღვევს რადგან ხელშეკრულების დადებამდე , სწორედ დამზღვევის მხრიდან იკვეთება ინფორმაციის მიწოდებით კეთილსინდისიერად, მზღვეველის კეთილსინდისიერება როგორც ავღნიშნეთ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ ხორციელდება, დამზღვევთან ხელშეკრულების დადების ეტაპზე.

ხელშეკრულების ძირითათი ნაწილი და პირობები მზღვეველის უფლებამოსილებას მოიცავს, თავად მზღვეველი სთავაზობს დამზღვევს ხელშეკრულების პირობებს , სადაზღვევო ობიექტი შეიძლება იყოს (ქონება, ჯანმრთელობა,სიცოცხლე). კეთილსინდისიერების პრინციპი სწორედ თავდაპირველად ხელშეკრულების დადების ეტაპზე ვლინდება, მზღვეველმა ხელშეკრულების დადების მომენტისთვის დამზღვევს ამომწურავად და გასაგებად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რათა არ გამოიკვეთოს მზღვეველის არაკეთილსინდისიერება.

მზღვეველის არაკეთილსინდისიერების გამოვლინებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს და ყურადღება გამახვილდეს, მზღვეველის მხრიდან განზრახ არაკეთილსინდისიერ ქმედებას, შეიძლება არაკეთილსინდისიერი ქმედება იყოს გაუფრთხილებლობით ჩადენილი ან დაუდევრობით წარმოშობილი, რაც შესაძლოა გამიზნული არ იყო მზღვეველის მხრიდან, თუმცა უნდა გაიმიჯნოს არაკეთილსინდისიერი ქმედება, რომელიც განზრახ არის მზღვეველის მხრიდან. მზღვეველის არაკეთილსინდისიერება განიმარტება, როგორც მზღვეველის მიერ ანაზღაურების ვალდებულების შესრულების დაგვიანება ან საერთოდ

შეუსრულებლობა. თუმცა ამის შესახებ კანონმდებლობა ცალკეულ მუხლს არ გამოყოფს რითაც შეიძლება დარეგულირდეს კონკრეტული საკითხი.

,,მზღვეველის არაკეთილსინდისიერებისთვის აშშ-ის დოქტრინა დამაჯერებელი ზიანის ანაზრაურებას ითვალისწინებს. დამაჯერებელი ზიანის დაკისრება მზღვეველის არაკეთილსინდისიერებისთვის, გაუმართებლად ითვლება თუ მზღვეველის ქმედება არ შეიცავს განზრახვის ნიშნებს და მხოლოდ მისი არასწორი შეფასების ან შეცდომის შედეგია. საგულისხმოა, რომ ქართული კერძო სამართლისთვის დამაჯერებელი ზიანის კონცეფცია მიუღებელია. იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ პენალური სანქციები ქართული სამართლისთვის უცხოა''. (ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, 82-83გვ)[36]

მოცემულ ნაშრომში არაერთხელ აღინიშნა სადაზღვევო ურთიერთობაში მზღვეველის უპირატესობა, დამზღვევის მიმართ მზღვეველს აქვს მოთხოვნის უფლება, რაშიც იგულისხმება და გასათვალისწინებელია. მოითხოვოს დამზღვევისგან, როგორც ინფრომაციის მიწოდება ასევე სადაზღვევო ობიექტზე ზრუნვის ვალდებულება. მზღვევემლა სადაზრვევო უპირატესობა არ უნდა გამოიყენოს როდესაც დამზღვევს ინფორმაციაც მიწოდებული აქვს ბოლომდე და ამომწურავად.

,,ერთი მხრივ მზღვეველის უპირატესობა და არგუმენტად, მოყვანილი არგუმენტი შეიძლება გარკვეულად ამართლებდეს არაკეთილსინდისიერი ქცევის, როგორც სპეციალური კატეგორიის სამართალდარღვევის, ადრესატად მხოლოდ მზღვეველის განხილვისას. თუმცა ეს არ არის საკმარისი არგუმენტი. ამ კონკრეტული მიდგომით ირღვევა მზღვეველის და დამზღვევის თანასწორობის პრინციპი''. (ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, 82-83გვ)[37]

,,აშშ-ს ერთ-ერთი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელშიც მოსამართლე მხარეთა ამგვარი უთანასწორობის აღდგენას შეეცადა. ყოველივე ეს ითვალისწინებს

მზღვეველის უფლებას, ისარგებლოს არაკეთილსინდისიერი ქმედებისათვის მოთხოვნის წარდგენის უფლებით დამზღვევის წინააღმდეგ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გადაწყვეტილებები აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაში საგამონაკლისო ხასიათისაა. სხვა საქმეებზე აშშ-ის სასამართლოები არ ეთანხმებიან აღნიშნულ პოზიციას და მიუთითებენ, რომ არაგონივრულია დამზღვევის მიერ ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევის გათანაბრება მზღვეველის მიერ იმავე ტიპის ვალდებულების დარღვევასთან". (ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016, 82-83გვ)[38]

დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, თანაბრად აქვთ უფლება მოითხოვონ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება. ასევე მნიშვნელოვანია შეფასდეს ზიანი რომელიც მიადგა მხარეს, თუმცაასევეშეუძლებელია იმ ზიანის აღრიცხვა, რაც მიიღო მეორე მხარემ არაკეთილსინდისიერი ქმედების საფუძველზე.

დასკვნა

კეთილსინდისიერების პრინციპი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლის განვითარებაში, რადგან მხარეების თანასწორობას და ავალდებულებს მათ პირნათლად და ნდობის განმტკიცების საფუძველზე შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, სწორედ მხარეთა თანასწორობაზეა დაფუძნებული ყოველი სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში მხარეთა ინტერესის გათვალისიწინება, მხარეებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ ერთმანეთის ინტერესი და უნდა მოექცნენ ერთმანეთს ისევე, როგორც მოიქცეოდნენ საკუთარი ინტესესის გათვალისწინების დროს.

დაზღვევის სამართალში ასევე მნიშვნელოვანია მოცემული პრინციპი, როგორც უკვე აღინიშნა სადაზღვევო სამართალი ხაზს უსვამს ხელშეკრულების ყველა ეტაპზე მხარეთა კეთილსინდისიერებას, ასევე მათი ურთიერთობის დაფუძნებას ნდობაზე.

სასამართლო პრაქტიკა და გადაწყვეტილებები მიუთითებს როგორც მზღვეველის, ისევე დამზღვევის მხრიდან კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის. დაზღვევის სამართალი ზღუდავს ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელმაც შესაძლოა მეორე მხარე ჩააგდოს ფინანსურად. ასევე გაუთვალისწინებელ მდგომარეობაში. ინტერესების საწინააღმდეგოდ მოხდეს კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე სწორედ მზღვეველის მხრიდან არის საშიშროება იმისა, რომ დამზღვევი, როგორც ურთიერთობების შედარებით სუსტ მხარე აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მზღვეველს სადაზღვევო პრაქტიკიდან გამომდინარე უფრო მეტი გამოცდილება აქვს და უფრო მეტად არის გაცნობიერებული დაზღვევის სფეროში. აქედან გამომდინარე ყოველივე ეს მზღვეველს აძლევს უპირატესობას დამზღვევთან შედარებით. მზღვეველმა შეიძლება ისარგებლოს თავისი უპირატესობით და დამზღვევთან იმოქმედოს არაკეთილსინდისიერად.

ყოველივე ზემოაღნიშნული გულისხმობს მზღვეველის მოტივაციას სადაზღევო შემთხვევის დადგომისას თავი აარიდოს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას. კანონი ავალდებულებს მხარეებს მარტივად და გასაგებად იყოს დაზღევევის ხელშეკრულება შედგენილი. კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევამ და ნდობის ბოროტად გამოყენებამ შესაძლოა დამზღვევის ფინანსური მდგომარეობა დაამძიმოს.

დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების გარანტიას, დამზღვევის სიმშვიდის. დაზღვეული ქონებისათვის ზიანის მიყენების შემთვევაში დამზღვევი ნდობით არის აღჭურვილი, რადგან მზღვეველის მიერ მოხდება ზიანის

ანაზღაურება. სწორედ ეს ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს დაზღვევის სამართლის არსს და მნიშვნელობას, სწორედ ამითაა განპირობებული ეკონომიკურ ბაზარზე დაზღვევის მნიშვნელოვანი ფუნქცია.

კეთილსინდისიერების პრინციის დაცვისას და მის მნიშვნელობაზე საუბრისას, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მზღვეველზე, რადგან დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, შედარებით მეტი ალბათობა და ეჭვის საფუძველია, დამზღვევს ნაკლები ნდობა ჰქონდეს მზღვეველის მიმართ.

სადაზღვევო კომპანიები დღევანდელი პრაქტიკიდან გამომდინარე ცდილობენ თავი აარიდონ თავიან ვალდებულების შესრულებას; ცდილობენ ყოველგვარი შესაძლებლობების გამოყენებით, არ მოახდინონ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

შეიძლება ითქვას სადაზღვევო კომპანიები ცდილობენ გააჭიანურონ ზიანის ანაზღაურება ან უმჯობეს შემთხვევაში თავი აარიდონ მასზე დაკისრებულ ვალდებულებას. ყოველივე ეს იწვევს მათდამი უნდობლობას, დღესდღეობით სადაზღვევო კომპანიებს უწევთ დაამტკიცონ თავიანთი კეთილსინდისიერბა რათა დამზღვევი ნდობით აღიჭურვოს მისდამი.

უპირველესყოვლისა სწორედ, ადამიანური ურთიერთობებიდან გამომდინარე ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობა ნდობაზე უნდა იყოს დამყარებული, მხარე ყოველ ეტაპზე უნდა იყოს დაცული იმისგან, რომ მეორე მხარე თავს აარიდებს მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებას. სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომელიმე მხარე არ უნდა წარმოადგენდეს უფრო ძლიერ მხარეს და უპირატესობამ არ უნდა გამოიწვიოს არაკეთილსინდისიერი ქმედება.

ბიბლიოგრაფია

1. ავტ. კოლექტივი, 2001. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი IV, ტომი II, თბილისი.

2. ვაშაკიძე გიორგი, სამართლებრივი ტენდენციები, ქართული სამართლის მიმოხილვა, თბილისი 10/2007.

3. ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კომენტარის, წიგნი მესამე , გამომცემლობა სამართალი 2001.

4. ირემაშვილი ქეთევანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2016.

5. ხუნაშვილი ნინო, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2014.

ნორმატიული მასალა და სასამართლო გადაწყვეტილებები.

1. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

2. საქართველოს კანონი ,, დაზღვევის შესახებ".

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 21 მაისის N ას -221-223-2012 განჩინება.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 24 მაისის N ას-23-18-2011 განჩინება.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ოქტომბრის N ას-698-668-2014 განჩინება.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ოქტომბრის N ას -1708 -1602-2012 გადაწყვეტილება.